

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #03/03-24

ქ.თბილისი

23 მარტი, 2020 წელი

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის #1 დეკრეტის, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ 2020 წლის 23 მარტის საქართველოს მთავრობის #181 დადგენილების და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 4.6 პუნქტის საფუძველზე,



ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტმა 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში განახორციელოს დისტანციური სწავლება.
2. დისტანციური სწავლება განხორციელდეს საგნებში სპეციფიკის გათვალისწინებით.
3. დისტანციური სწავლებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის აკადემიურ კალენდარში, სილაბუსებში და შეფასების სისტემაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.
4. დისტანციური სწავლება ძალაშია საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის #1 დეკრეტის და 2020 წლის 23 მარტის საქართველოს მთავრობის #181 დადგენილების მოქმედების პერიოდში.
5. აკადემიურ კალენდარში, სილაბუსებში და შეფასების სისტემაში განხორციელებული ცვლილებები ძალაშია 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში.
6. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
7. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

თბილისის
**თავისუფალი
უნივერსიტეტი**
შპს
კახა ბენდუკიძის კამპუსი
დავით აღმაშენებლის
ხეივანი #240, 0159,
თბილისი, საქართველო
**FREE UNIVERSITY
OF TBILISI**
Ltd
Kakha Bendukidze Campus
#240 David Aghmashenebeli
Alley, 0159, Tbilisi, Georgia
+{995 32} 2 200 901
info@freeuni.edu.ge
www.freeuni.edu.ge

რექტორი



ვახტანგ ლექვაია